პიროვნული ნიშნების, ემოციური ინტელექტისა და აგრესიულობის ურთიერთმიმართება მოზარდებში

მარიტა ივანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

17.06.2023

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია დაადგინოს მოზარდებში პიროვნული ნიშნების, კერძოდ - ექსტრავერსია და ნეიროტიციზმის, ემოციური ინტელექტისა და აგრესიის ურთიერთმიმართება. რადგანაც აქტუალურ კვლევით საკითხს წარმოადგენს მოზარდებში აგრესიული ქცევა, მნიშვნელოვანია იმ კავშირების დადგენა და ასევე იმის განსაზღვრა, პიროვნული ნიშნებიდან, რომელი - ექსტრავერსია თუ ნეიროტიციზმი - არის უფრო ძლიერი პრედიქტორი მის გამოვლენაში. კვლევაში მონაწილეობდა ორ განსხვავებული საცხოვრებელი ადგილის წარმომადგენელი 11-დან 17 წლამდე 160 მოზარდი. პიროვნული ნიშნების საკვლევად გამოყენებულ იქნა NEO PI-R, ემოციური ინტელექტის საკვლევად - ემოციური ინტელექტის კითხვარის მოკლე ფორმა (TEIQue-SF), ხოლო აგრესიის დონის გასაზომად - პაჩებუტის აგრესიის დონისა და ფორმის (Pochebut, 2003) დამდგენი კითხვარი. მიღებული მონაცემები დამუშავდა კორელაციური და რეგრესიული ანალიზის საშუალებით. შედეგად აღმოჩნდა, რომ მოზარდებში ნეიროტიციზმის მაჩვენებელი არის დადებით კორელაციაში აგრესიის დონესთან. ასევე, გამოიკვეთა, რომ მოზარდებში ნეიროტიციზმის მაჩვენებელი არის უარყოფითად, ხოლო ექსტრავერსიის მაჩვენებელი დადებითად დაკავშირებული ემოციური ინტელექტის დონესთან. დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ მოზარდებში ემოციური ინტელექტის დონე უარყოფით კორელაციაშია აგრესიის დონის მაჩვენებელთან. კვლევის შედეგების მიხედვით აგრეთვე დადასტურდა ვარაუდი და აღმოჩნდა, რომ მოზარდებში ნეიროტიციზმი უფრო ძლიერი პრედიქტორია აგრესიის, ვიდრე ექსტრავერსია. მიგნებები მნიშვნელოვანია, მოზარდებში აგრესიის წინააღმდეგ, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული პრევენციული გამოყენებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მოზარდობა, პიროვნული ნიშნები, ექსტრავერსია, ნეიროტიციზმი, ემოციური ინტელექტი, აგრესია.

Abstract

The research aims to determine the relationship between personal characteristics in adolescents, specifically extraversion and neuroticism, emotional intelligence, and aggression. Since aggressive behavior in youth is a prominent topic, it is crucial to establish these connections and determine which personality trait—extraversion or neuroticism—better predicts it. A total of 160 adolescents, aged between 11 and 17, from two different residential areas, participated in the research. The NEO PI-R was used to study personal characteristics, the Trait Emotional Intelligence Questionnaire-Short Form (TEIQue-SF) for emotional intelligence, and the Pochebut Aggressiveness test (Pochebut, 2003) for measuring aggression levels. The data was processed using correlation and regression analysis. The results revealed that the level of neuroticism in adolescents is positively correlated with the level of aggression. Furthermore, the study found that the level of neuroticism in adolescents is negatively correlated with the level of emotional intelligence, while the level of extraversion is positively correlated with emotional intelligence. The hypothesis that the level of emotional intelligence is negatively correlated with the level of aggression in adolescents was also supported by the findings. Ultimately, the results confirmed the assumption that neuroticism is a stronger predictor of aggression than extraversion in adolescents. Findings are crucial for understanding and implementing both theoretical and practical preventive measures against aggression in adolescents.

Keywords: Adolescence, Personality Trait, Extraversion, Neuroticism, Emotional Intelligence, Aggression.

მადლობა

ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ მაია წერეთელს. ასევე, მადლობა თითოეულ რესპოდენტს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა, გულისხმიერების გამოჩენისა და გამოხატული ნდობისათვის.